



თბილისი

22 ივლისის 2019 წ.

ბრძანება № 89-19

2019 – 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობით ჩარიცხვისათვის ვაკანტური ადგილების, ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის 6.10.6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2019 წლის 04 ივნისის, ოქმი #05-19 დანართი №1), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ №10/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის დებულების“ (დებულება დამტკიცებული რექტორის 2019 წლის 22 ივლისის №87-19 ბრძანებით) 21-ე პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე შიდა მობილობით ჩარიცხვისათვის ვაკანტური ადგილები შემდეგი სახით:

№	საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვაკანტური ადგილების რაოდენობა
1	ბაკალავრიატი	საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა	5
2	ბაკალავრიატი	ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა	7
3	ბაკალავრიატი	ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამა	7
4	ბაკალავრიატი	თეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა	5
5	ბაკალავრიატი	სამართლის საგანმანათლებლო პროგრამა	4

2. განისაზღვროს 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ვადები შემდეგი სახით:
 - 2.1. შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირების საბუთების მიღება და კრედიტების აღიარება 2019 წლის 22 აგვისტო - 06 სექტემბრის ჩათვლით.
 - 2.2. შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირებისათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა და ხელშეკრულების გაფორმება - 2019 წლის 09 სექტემბერი - 12 სექტემბრის ჩათვლით.
 - 2.3. შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ ბრძანების სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის მიწოდება - 2019 წლის 13 სექტემბერი.
3. შიდა მობილობის პროცესში (ჩარიცხვამდე) წარმოსადგენ დოკუმენტაციად განისაზღვროს:
 - ა) განცხადება მიმღები ფაკულტეტის დეკანის სახელზე;
 - ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) ასლი დედნის წარმოდგენით (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში - პასპორტის /პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);
 - გ) სტუდენტის სასწავლო ბარათი;
4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, ამ ბრძანების 2.1 პუნქტით განსაზღვრული სამუშაო დღეებში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 17-მდე, მისამართზე კ. ქუთათელაძის ქ. #3 .
5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება (ც.ხითარიშვილი).
6. დაევალოს უნივერსიტეტის მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი



ვაჟა ვარდიძე